ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 23.01.2024 წ.

დადგენილება N10.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N29

პრეამბულა

„ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიის, ხედვის და ღიღებულებების შესაბამისად და მოიაზრებს ერთობლივი სწავლისა და კვლევების დაგეგმვის, უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების, სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო დონეზე გაცვლის, ერთობლივი პროგრამების შექმნისა და განხორციელების, კონფერენციების ჩატარების და სხვადასხვა კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების მიზანს.

„ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ გაცხადებული პრიორიტეტია ინტერნაციონალიზაციის პროცესების იმპლემენტაცია მულტიკულტურული და დემოკრატიული ფასეულობის მქონე თაობების მოსამზადებლად და მისი მუდმივი პროგრესიისათვის გლობალურ სამყაროში. ინტერნაციონალიზაციისათვის საუნივერსიტეტო საზოგადოების გლობალურ ასპარეზზე კონტრიბუცია უმნიშვნელოვანესი აქტორია მუდმივად ცვალებად ციფრულ ეპოქაში.

განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია თავის თავში მოიაზრებს საგანმანათლებლო დაწესებულების იმგვარ მოწყობასა და საქმიანობის მენეჯმენტს, სადაც შესაძლებელი იქნება განხორციელდეს მაღალი დონის ურთიერთობები საერთაშორისო დონეზე.

უნივერსიტეტი ცდილობს განავითაროს განათლების ხარისხი, რათა შესთავაზოს საუკეთესო შესაძლებლობები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტუდენტებს. უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა შეძლონ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სწავლა და მუშაობა.

ინტერნაციონალიზაციის კოორდინირებული პოლიტიკა

საქართველო, როგორც ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი (ბოლონიის დეკლარაციის ხელმომწერი) ისწრაფვის ევროპულ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, შესაბამისად „ნეუ“ მოწოდებულია მუდმივ რეჟიმში გააღრმაოს თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან და ასევე, გავიდეს საერთაშორისო ასპარეზზე.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ისეთი საკითხების მენეჯმენტს, კოორდინირებულად წარმართვასა და მოგვარებას, რომელიც მიმართულია ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალიზაციისაკენ და გულისხმობს ისეთი სისტემებისა და პროცესების დამკვიდრებას, რაც ხელს უწყობს და ანვითარებს საერთაშორისო თანამშრომლობებს, გაცვლით და ორმაგი ხარისხის პროგრამებს, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, ერთობლივ სამეცნიერო - კვლევით საქმიანობას და ა.შ. უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცე მძლავრი დადებითი გარე ზემოქმედების ფაქტორია უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ინტერნაციონალიზაციისათვის. ამ პროცესის მიზანს წარმოადგენს შეინარჩუნოს ეროვნული სისტემების მრავალფეროვნება, ამავე დროს უზრუნველყოს მათი თავსებადობა იმ გაგებით, რომ შესაძლებელი გახადოს მობილობა და გაცვლები ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების უმაღლესი განათლების დაწესებულებებს შორის, რაც მიიღწევა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა - ECTS - ით. პროცესი საშუალებას აძლევს და უმარტივებს ამოცანას უნივერსიტეტს გააგზავნონ საკუთარი და მოიზიდონ გაცვლითი პროგრამების სტუდენტები შესაბამისი კრედიტების აღიარებით.

ინტერნაციონალიზაციის ძირითადი პრიორიტეტები

სტუდენტებისათვის - გაცვლითი პროგრამების ამუშავება, ერთობლივი პროგრამების შემუშავება, უცხოელი სტუდენტების მიღების მიზნით ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება, ქართველი სტუდენტების უცხოეთში სასწავლებლად წარგზავნა. საგანამანათლებლო პროგრამაში ინგლისური ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში გამოყენებაზე და ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე, კერძოდ, იგი უზრუნველყოფს ენების საერთო ევროპული ჩარჩოს მიერ განსაზღვრული ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი უნარ - ჩვევების დაუფლებასა და ენის ასპექტების ცოდნასა და აქტუალიზაციას, კომუნიკაციის უნარ - ჩვევების განვითარებას.

აკადემიური პერსონალისათვის - გაცვლითი პროგრამების შემუშავება, ერთობლივი პროგრამების შემუშავება, უცხოელი პროფესორების პროგრამაში ჩართვა, ერთობლივი კვლევითი სამუშაოების ჩატარება და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

სასწავლო პროცესის წარმართვისათვის - სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მიღებული ცოდნის აღიარება, განათლების დოკუმენტების საერთაშორისო აღიარება, განათლების ხარისხის შეფასების საკითხები. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას საერთაშორისო სტანდარტებისა და უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინება. სასწავლო პროცესის წარმართვა ევროპული მოდელის გათვალისწინებით: ევროპული კრედიტების სისტემა (ECTS), შეფასების პროცენტული გადანაწილების მოდელი.

საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაცია – უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

მემორანდუმები გულისხმობს:

- სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას;
- აკადემიური პერსონალის გაცვლას გამოცდილების შეძენისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- ტრენინგების ორგანიზებას;
- საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვებინარებისა და სიმპოზიუმების მოწყობას;
- ინფორმაციის, სასწავლო მასალებისა და გამოცემების ურთიერთგაცვლას;
- სტუდენტების ხელშეწყობას გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამების განხორციელებისას.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მოიცავს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს, კვლევითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობას, აკადემიურ ასპექტებს.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შედეგი:

- სწავლა/სწავლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესება და აკადემიური ჰორიზონტის გაფართოება;
- ინსტიტუციური ზრდა და განვითარება, ინსტიტუციური პროფილის და სტატუსის გაუმჯობესება;
- სწავლებასა და კვლევაში ინტერნაციონალურ აკადემიურ სტანდარტებზე ორიენტირების შესაძლებლობა.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები:

- უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები;
- საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის ზრდის ინტენსივობა და ხარისხი;
- გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი;
- ერთობლივი საერთაშორისო კვლევების და მასში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების რაოდენობა.

უნივერსიტეტის მიერ ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებელად განსახორციელებელი აქტივობებია:

ა. ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნით უცხოელი პერსონალის მოზიდვა;
ბ. ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნით უცხოელი სტუდენტების მოზიდვა.

ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის ერთ - ერთი მიზანია სწავლა - სწავლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით უუცხოელი პერსონალის მოზიდვა, რისთვისაც:

- უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან;
- უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური აქტიურად არის ჩართული მოცემული პროცესის სისტემატიზაციაში;
- უნივერსიტეტი უცხოელი პერსონალის მოზიდვისთვის მხარს უჭერს მათთვის ტექნიკური საკითხების მოგვარებას. კერძოდ, სავიზო პროცედურები, საცხოვრებლის მოძიება, სოციალური აქტივობების დაგეგმვა და სხვა საკითხები.

ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის ერთ - ერთი მიზანია უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები, რომელთაც ხელს უწყობს შემდეგი გარემოებები:

- უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი ადამიანური რესურსი და საგანმანათლებლო პროგრამები;
- სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები (მისაღებ პროცედურებში დახმარება დოკუმენტების თარგმანისა და აღიარების პროცესებში, ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტების წარსადგენად დახმარება);
- შეხვედრები უცხოელ სტუდენტებთან მათი საჭიროებებისა და შეხედულებების გასაცნობად;
- უცხოენოვანი კურსების, მოდულების, პროგრამების შექმნის შემდგომ მათში სტუდენტების ჩართვა და მათთვის დამატებითი შესაძლებლობების გაჩენა;
- გადახდის მოქნილი სისტემა.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარებას ახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური წელიწადში ერთხელ და ანგარიშს წარუდგენს რექტორს. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმასთან.